ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

## პირველი წელიწადი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 4. სამშაბათი. I. 19 მარტს 1868 წ.



**შინაარსი:** — **სამეცნიერო ნაწილი:** — **ჩვენი** სოფლელი მკითხველებისთვის დასასწავლი რაღაც-რაღაცაები. სამეურნეო ცოდნა. **სახალხო მედიცინა.** — **საქონლის ჭირისა და სხვა ავად-მყოფობის** ცნობა და სხვ. — **სხვა და სხვა ამბავი:** კაცის ხელები. — **ორიოდე** შესანიშნავი დარიგება ბოსტნის კვლებზე. — **თაგვ ქოს** მაწყინარი თვესების შემცირება.


## სამეცნიერო ნაწილი.

### ჩვენი სოფლელი მკითხველებისთვის დასასწავლი რაღაც-რაღაცაები.

ეს არის გაზაფხული დადგა. ერთი ორიოდე თბილი დღეები რომ დაიჭიროს, რაც გარემო ხეხილი, ტყე და ბალახია, ყველა ერთბაშათ იფეთქებს. ზამთრით მიძინებული სიცოცხლე ისევ გაიღვიძებს და ქვეყანა სადღესასწაულო ტანთ-საცმლით შეიმოსება. ჩვენ რომ დიდს დღეს სიხარულით მოველით, იმას ესე შეჰფერის. ყოველი ჩვენთაგანი რაც ღმერთს მოუცია, იმითი ვემზადებით **აღდგომის** მიგებებას; როგორც სჩანს ჩვენი დედა-მიწაც ემზადება სადღესასწაულოთ. სწორეთ აღდგომის დღეებში გამოვა ყოველი ფერი, ტყე ფოთლით შეიმოსება, მინდვრები ამწვანდება, ყვავილები გამოვლენ, ერთის სიტყვით რაც რამ სასიცოცხლოა დედა-მიწის ზურგზე, ყველა ემზადება ბრწყინვალე დღესასწაულს მხიარულობას. ეს კარგი ამბავია, რომ წრეულს ბუნებამ გაიზიარა კაცის მხიარულობა. როცა ამ გვარათ ბუნება თანაუგრძნობს კაცსა, ეს ბედნიერების ნიშანია; ალბათ ის არ არის ჩვენზე გამწყრალი და დღეგრძელობასაც გვიქადებს. ღმერთმანც აგრე ქმნას! დღეგრძელობა ყველას ეჭირება, მაგრამ ჩვენ მაინც ყველაზე უფრო გვეჭირვება, ამიტომ რომ ჩვენი უბედობის გამო ძველიდგან მოკიდებული თითქმის აქამდის კარგი ცხოვრების გემო არ გაგვიღია. ესეც ხომ ასე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი მკითხველი იმასაც მკითხავს, ეგ ბუნება რა არის, რომელიც წრეულს ჩვენთან მხიარულებას ემზადებაო? ამის ჰასუხათ გთხოვ დილ-დილაობით ადრიანათ გამოხვიდე ხოლმე კარში, მკითხველო, და მიიხედ-მოიხედო.... ეს შენთვისაც კარგია, იმიტომ რომ დილის ჰაერის შესუნთქვა კაცის გამაცოცხლებელია და სიმრთელის მომმატებელი; ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვინც ადრე ადგომას არის მიჩვეული, იმას სიზარმაცე თავიდგან მოშორებული აქვს და შრომაზე გულ-დადებით არის. ვისაც შრომა არ ეზარება, იმას, მკითხველო, სიმდიდრეშიაც ფეხი უდგას; მაგრამ რა ვთქვი!.. არა, სიმდიდრეში ფეხის შესადგმელათ საჭიროა, შრომასთან ყაირათიც იცოდეს კაცმა: რაც ოფლით შეუძენია, იმას ტყუილ-უბრალოთ არ აბნევდეს. დასწყევლოს ღმერთმა, რით დავიწყე და რით გავათავე! მინდოდა ბუნება რა არის ის ამეხსნა და ამის მაგიერათ შრომაზე გადავხტი. საკვირველია, რომ ყველაფერში ქართველობა გვეტყობა, აზრობაშიაც, წერაშიაც და სხვა შრომაშიაც. ერთს საქმეზე დიდხანს გულს ვერ დაუდებთ, მალე მოგვბეზრდება ხოლმე და მერე ან სულ თავს მივანებებთ ყველაფერს საქმესა და ან სხვა საქმეზე გადავხტებით. იქაც, რასაკვირველია, უმუყაითობისაგან ავიცრუებთ ხოლმე გულსა. ამისთანა ხტუნვაში არაფერი ხეირიანი კი არ გამოდის. აზრობაშიაც ეგრე ვართ, იმიტომაც გვეძახიან, რომ ქართველებს არაფერში ხეირი არა აქვთო. რა გაეწყობა! ვეცადოთ ყოველს საქმეში მხნეთ ვიმოქმედოთ და სანამდის ბოლო არ მივსცეთ, მანამდის არც ერთს საქმეს თავი არ დავანებოთ. აი მაშინ ჩვენი შრომიდგანაც ხეირი გამოვა და უხეიროს მაგიერათ ხეირიანებს დაგვიძახებენ. მაშ ახლა მეც ამ დარიგებას მივყვები. თუმცა აქამდის ბევრი ვიხტუნე ისე, რომ რისაც ახსნა მინდოდა, ვერ მოვახერხე, მაგრამ აი ეხლა ისევ ჩემს ასახსნელს საგანს (სახელს) ვუბრუნდები. მაშ დავიწყებ. როდესაც კაცი დილით-ადრიანათ გარეთ გამოვა, ის ჰხედავს დედამიწას, იმაზე ამოსულს ხეხილს, ტყეს, ბალახს, ხედავს ღელეებს, წყაროებს, უფრო დიდ წყლებს, რომლებსაც ჩვენ ვეძახით მდინარეებს, ამიტომ რომ მიდიან ზღვისკენ იქ შესართავად. ქართლსა და კახეთში მტკვარი და ალაზანია დიდი მდინარე; იმერეთში—რიონი, ცხენის-წყალი და ენგური. მდინარეებს გარდა კაცი დედა-მიწაზე ჰხედავს ყოველნაირ ცხოველსა, ქვებს, კლდეებს და ვინ იცის რამდენს რასა. როცა კაცი ზევით აიხედავს, ჰხედავს ცასა, რომ თასივით თავზე გადმოხურვია, და ზედ თითქოს ვარსკვლავებია მიჭედილი. ეს ვარსკვლავები ჩვენზე ძალიან შორს არიან და იმიტომაც პატარებათ გვეჩვენებიან, თორემ ცოტათ ახ-

ლოს რომ ენახოთ, დაერწმუნდებით, რომ ისინი ჩვენს დედამიწაზედაც ბევრათ უფრო დიდები არიან. ვარსკვლავებს გარდა კაცი ჰხედავს მზეს, რომელიც ათბობს ჩვენს დედამიწას და ყველა ფერს სიცოცხლეს აძლევს. ღამით ცაზე ვხედავთ მთვარესა. სულ ამაებს: დედა-მიწასა და რაც დედა-მიწის ზურგზე იპოვება, ვარსკვლავებსა, მზეს, მთვარეს, რომლებსაც სულ ციურს მნათობებს ეძახიან, სულ ყველას ერთიანათ ვეძახით ქართულათ ბუნებასა. ამას გარდა კიდევ იტყვიან კაცის ბუნება, როცა უნდათ მოიხსენონ კაცის ტანი და იმისი აგებულება სულ ერთიანათ. მაშ დავიხსოვნოთ, რომ რასაც თვალით ვხედავთ ცაზე და დედამიწაზე ამას საზოგადოთ ბუნება ჰქვია. ესეც დავიხსოვნოთ, რომ როცა იტყვიან კაცის ბუნება, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ კაცის ტანი და იმისი აგებულება მთლად ერთიანად. აგრეთვე როცა იტყვიან, ხის ბუნება, ან ძროხის ბუნება, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი ხე თავისი აგებულებით და ან ძროხა თავისი ცხოვრებით.

ახლა ცალკ-ცალკე მოუყაროთ თავი იმ არსებებსა, რომლებიც ბუნებაში იპოვებიან. ყოველს არსებას, სულიერს და უსულოს, სხეულს ეძახიან; ქვა არის სხეული, ხე არის სხეული, ძროხა არის სხეული, კაცია სხეული, ერთი სიტყვით, რაც უნდა აიღო, ყველას საზოგადოთ სხეული ჰქვია. მაშ რაც ბუნებაში ნივთებია, ყველა რომ შევაგროვოთ და თავ-თავის ადგილას დავაწყოთ, ისინი შეადგენენ სამ ნაირს გროვასა. აი, მაგალითად, ბალახი, ხე, ტყე, სოკო და სხვა ამათ გვარი სხეული ერთად შევკრიბოთ. ამათ ერთგვარი ცხოვრება აქვთ. ისინი ჩნდებიან თესლისაგან, რომელიც მიწაში განაყოფიერდება და მიწიდგან თავს ამოყოფს, და თუ სოკოს თესლია, სოკოთ გაიზრდება, თუ ბალახის თესლია—ბალახათა, თუ ვაშლისა, ან სხვა რამე ხის თესლია—ხეთ გაიზრდება. ზემოთ მოხსენებული სხეულები მიწაში ფესვით არიან დამაგრებულნი, მიწიდგან სწოვენ წვენსა, იზრდებიან და ბოლოს თავთავის შესაფერი ნაყოფიც მოაქვთ. ყველა ამ გვარს სხეულებსა ჰქვია მცენარე,-მაშ ყველა ის საგნები, რაც მიწაზე ამოდის, იმის წვენით იკვებება და მიწაზე ფესვით არის დამაგრებული, იმათ რქმევია მცენარე. ახლა ავიღოთ იმისთანა საგნები, რომლებიც სულიერები არიან, შეუძლიანთ თავის ნებით ადგილის გამოცვლა, სჭამენ პირით, გრძნობენ ტკივილს და სიამოვნებას, მაგალითად: ლოკოკინა, გველი, ხარი, ცხენი და სხვა—ყველა ამაებს დაარქვეს ცხოველი. ახლა შევკრიბოთ ერთად იმისთანა სხეულები, რომლებსაც, არც ფესვი აქვთ, რომ მიწიდგან წვენი სწუწნონ საზარდათ, არც პირი აქვთ, რომ საზრდო სჭამონ, არც არაფერი. ისინი მხოლოდ არიან გაბნეულნი დედამიწაზე, არც ზრდა აქვთ, არც გრძნობა. ამ საგნებს ყველას მადნეულობა ჰქვიან, მაგალითად: ქვა, კირი რკინა, კლდე, შაბი, ჰარილი, ქვიშა, ოქრო, ვერცხლი და სხვა ამისთანაები. რაც რამ ბუნებაშია, ახლა სამ გვარ სამეფოთ გავყოთ: ერთ სამეფოს შეადგენს ის სხეულები, რომლებსაც უძახიან მადნეულობას ანუ მიწათ გვარსა. მეორე სამეფოს შეადგენენ ისინი, რომლებსაც ერთად უძახიან მცენარეთ გვარსა და მესამეს შეადგენენ ის სხეულები, რომლებსაც ეძახიან—ცხოველთ გვარსა. მცენარეს აქვს თავისი იარაღი, რომლის შემწეობითაც ის იღებს წვენს მიწიდგან, იმზადებს ტანში საზრდოსა და ამ გვარათ იზრდება. მაგალითად ხის იარაღი არის იმისი ფესვი, რომელიც სწოვს მიწის წვენსა და აძლევს მას ხესა; ფოთლებიც იარაღია, რომელიც ამზადებს მიწიდგან ამოღებულს წვენს საზრდოთა. როგორც მცენარეს, ცხოველსაც აგრეთვე თავის იარაღები აქვს, მაგალითად ძაღლის იარაღი არის პირი, რომლითაც სჭამს პურსა, ფეხებიც იარაღია, რომლითაც დადის და სხვა. მაშ ბუნებაში არიან იმისთანა არსებანი, რომლებიც თავის საცხოვრებლათ სხვა და სხვა სახმარ იარაღებით არიან შემკულნი. ამ არსებებს ეძახიან იარაღიანებს, ან ორგანოსნებს. ყოველი მცენარე ორგანოსანი არსებაა. ხე არის ორგანოსანი ან იარაღიანი არსება. ფესვია იმის ორგანო ან იარაღი, ფოთოლია იმის ორგანო ან იარაღი, ყვავილია იმის ორღანო ან იარაღი. აგრეთვე ცხოველსაც ორღანოსან არსებას ეძახიან; მაგალითად: კაცია ორღანოსანი არსება. იმისი ორღანო ან იარაღია: ხელი, ფეხი, თვალი, პირი და სხვა. ამ სახით ბუნებაში არიან ორგვარნი არსებანი: ორღანოსანნი ანუ იარაღიანები და უორღანოსნო ანუ უიარაღონი არსებანი; მაგალითად ქვა არც იზრდება, არცა გრძნობს, ამისგამო არც საზრდო და არც საგრძნობელი იარაღები, არც ორღანოები აქვს, ამიტომაც ეძახიან უიარაღოს, ან უორღანოსნოს.

ამ სახით ორღანოსანნი არსებანი არიან მცენარეთ გვარი და ცხოველთ-გვარი, ხოლო უორღანოსნონი არიან მადნეულნი. რა მეცნიერებაც ამ სამ გვარს არსებებს დაწვრილებით განიხილავს, იმას ჰქვია ბუნების მეცნიერება. არის ისეთი სწავლაცა, რომ მარტო მცენარის აგებულებას და იმის ცხოვრებას ტყობულობს. ამ სწავლას ჰქვიან ბოტანიკა. ბოტანი ბერძნულათ მცენარეს ნიშნავს. ბოტანიკა მცენარის აწერა, მცენარის გახილვა, გაჩხრეკა და სხვ.

მოდი ახლა ჩვენც მცენარის განხილვა და გაცნობა დავიწყოთ. მაგალითათ ავიღოთ ხე.

ხესა აქვს ფესვი, ღერი, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ფესვია ხის ორღანო, რომლითაც მიწაშია ჩაფლული და ჩამაგრებული. ის იღებს მიწიდგან წვენს და გაჰყავს ხეში იმის სარჩენათ და საზრდელათ. ფესვის ზევითა-ნაწილს ჰქვიან ყელი; შუათანა-ნაწილს ტანი და ქვევითა ნაწილს ბოლო და ბოლოს შემდეგ ფოჩი. ფესვი ყელით ხეზეა მობმული (დაკავშირებული), ტანით მიწაშია ჩასული და ფოჩით კი წვენს იღებს მიწიდგან. ფოჩს შეადგენს წვრილ-წვრილი და თეთრ-თეთრი ფესვის ძაფები, რომლებიც წურბელასავით მოჰკიდებიან მიწასა და სწოვენ. ამიტომაც ხის ან მწვანილის გადარგვა რომ გინდოდეს, უნდა ეცადო მიწიდგან ისე ამოიღო, რომ ფოჩი არ მოგლიჯო; თუ მოიგლიჯა, მაშინ გადარგული მცენარეც ველარ ამოიღებს მიწიდგან საზრდოსა და გახმება. უფოჩოთ დარგული ხე ვერ გაიხარებს.

ღერია ხის ტანი. მაშ ტოტები რაღაა?—ტოტებიც იგივე ხის ღერია; მაგრამ აი რით განირჩევიან ერთმანეთში: რომელი ღერიც მიწიდგან ტოტებამდის არის ასული, იმას ჰქვიან დედა-ღერი, ლოტონი, ტოტები კი მომცრო ღერები არიან. მცენარის ღერი სხვა და სხვა ნაირია: მაგალითად მუხის ან მსხლის ღერს ეტყვიან ლოტონსა, ლოტნარსა; ალვის ხის ღერს ეტყვიან საროსა, ყოველ გვარს ბალახის ღერს ეტყვიან ჩალას ან კალამს. მაგალითად სიმინდის ღერი ჩალაა, ხორბლის ღერი ჩალაა და სხვ.

ზოგი მცენარე ერთი წლის მეტს არ ცოცხლობს; მაგალითად ყოველნაირი ბალახი, სი-

ინდვი, ხორბალი და სხვ. ამიტომაც იმათ ღერს და ფესვს ეძახიან ე რ თ - წ ლ ო ვ ა ნ ს ა. ზოგი მცენარეა, რომ ორი წლის მეტს ვერ ცოცხლობს, მაგალითად სტაფილო, ჭარხალი, ამისთვის იმათ ღერსა და ფესვს ორ წლოვანი ჰქვიან.

ზოგი მცენარეა, რომ დიდხანსა სძლებს; ამისთვისაც იმათ ღერსა და ფესვს მ რ ა ვ ა ლ წ ლ ო ვ ა ნ ი ჰქვია; მაგალითად ყოველ ნარი ხე: ვაშლის ხე, მსხლის ხე, მუხა, იფნა და სხვ.

რის მაქნისია ღერი?—ღერს გაჰყავს ფესვიდგან ადენილი წვენი ფოთლებში; აქედგან სჩანს, რომ ღერი არ უნდა იყოს ყამირი. ის მილებიანი უნდა იყოს, უამისოთ წვენსაც არ შეუძლიან ფოთლებში ასვლა. მართლაც ღერი არის წვრილ-წვრილ მასრებისაგან შემდგარი. ყოველ-წლივ ხის ღერი მსხვილდება იმიტომ, რომ მასრები ქერქს შიგნით ღერის გარეშემო მრავლდებიან და წინა-წლისას სალტასავით ან რგოლსავით შემოერტყმიან. ეს მასრების კრება გაზაფხულზე ძალიან წყლიანია და ეძახიან ხ ი ს ლ ო რ წ ო ს ა, ზაფხულში ყოველი მასრა სათითოვოთ გვერდებზე სქელდება, მაგრდება და შემოდგომაზედ კეთდება ახალი სალტა, ან რგოლი, რომლითაც ხე გამსხვილდება ხოლმე ერთი წლის განმავლობაში. ჩვენმა სოფლელებმა, და უფრო დურგლებმა კარგათ იციან ხის წლოვანების შეტყობა. როცა ხის კუნძს გადამორევენ, ან გადახერხვენ, მერმეთ ხის გულიდგან მოჰყვებიან ხოლმე და დაითვლიან რგოლებს ქერქამდის, რამდენი რგოლიც გამოვა, ხეც იმდენი წლისაა. ამ რგოლებს ერთად ჰქვიან ხ ი ს ც ი ლ ი. ხისცილის რგოლები, რომელნიც გულთან ახლო არიან შემორტყმულნი, უფრო ფართონი და სქელნი არიან და რომელი რგოლიც ქერქთან ახლოს ძევს, ის უფრო ვიწრო და თხელია. აქედგან სჩანს, რომ ყოველი ხე ახალ-გაზდობაზე უფრო იზრდება. როცა მობერდება, მაშინ ყოველ წლობით ზრდასაც აკლებს და თხელი ცილის რგოლებსაც იკეთებს. ამისი ცოდნა ტყის მეპატრონეებისთვისაც კარგია, რადგან ეცოდინებათ, ხის კაფვა რა და რა დროს სჯობია. მთქვით ზოგი ხე ოცდა ხუთ წლამდის კარგათ იზრდება,. შემდეგ ზრდასაც აკლებს და ფუტუროვდება. ტყის მეპატრონემ თუ ეს იცის, გაჰყოფს თავის ტყეს ოცდა ხუთ ნაწილად, ერთ წელიწადს რომ ერთს გაჰკაფავს, მეორე წელიწადს მეორე ნაწილს, მესამე წელიწადს—-მესამესა, ასე რომ თითო ნაწილს ოცდა მეხუთე წელიწადზე შეხვდება მოჭრა, სწორედ იმ წელიწადს, როცა ტყე დასრულდება.

ფ ო თ ო ლ ი ა ხის ორგანო, რომელიც ამზადებს წვენს· და აქცევს ხის საზრდოთ; როგორც ჩვენ პირით ვსუნთქავთ, ისე ხე თავის ფოთლებითა, ასე რომ ფოთოლი ხის კუჭიც არის და ფილტვებიცა. ამ სახით ფესვი, ღერი და ფოთლები არიან ხის მასაზრდოებელნი ორგანონი. ფესვი წვენსა სწოვს, ღერს ეს წვენი ფოთლებში გაჰყავს და ფოთლები კი ინელებენ.

---

## სამეურნეო ცოდნა.

ქერი არის ორგვარი: ერთი მსხვილ-მარცვალა და მეორე წვრილ-მარცვალა. მსხვილ მარცვალა ქერს ძალიან უხდება ბევრი ქვიშა ნარევი თიხა, აგრეთვე ქვიშა ნარევ თიხაზედაც და ქვიშა-თიხანარევ შავ მიწაზედაც ძალიან ჩინებულად მოდის; ქვიშა ნარევ შავ მიწაზე კარგად მოდის, თუ ნოტიო ამინდი დაუდგა. საზოგადოდ ქერს ცოტათი წებოიანი და მსუქანი (პოხიერი) ან სასუქით ნაპატივარი მიწა უყვარს.

ვისაც ქერის დათესვა ჰსურს მიწა უნდა ნაშალი ამოურჩიოს და არა ყამირი. ამისთვის მიწა თუ ყამირია, ჯერ უნდა თესოს ზედ მიწის ვაშლა, კარტოფილი, ხახვი ან ამ გვარი მცენარე. ეს მცენარეები ძალიან არბილებენ და ჰშლიან მიწას; აგრეთვე კარგია, რომ რამდენჯერმე მოხნან ღრმად და დაანებონ თავი;—ამ ხშირად მოხვნითაც მიწა იშლება და რბილდება. ადრე დათესილს (ადრეულას) ქერს თუ გვალვა დაუდგა, ან ნოტიო სიცივე, გაზდას დაუშლის და უცხო ბალახებიც ძალიან ბევრი მოერევა ყანას; ამის გამო ქერი სულ ფუჭდება. გვიან დათესილს (გვიანა ქერს) ცივი დილები ბევრჯერ ამოსვლას უშლიან ხოლმე ამისაგმო ნაყოფიერ (მსუქან) მიწაზედ კარგია, რომ ქერი ადრე დათესონ ხოლმე, რადგან ნოყიერ მიწაზედ დათესილი ქერი უფრო გაუძლებს ცუდ ამინდსა. გამხდარ მიწაზედ სჯობია გვიან დათესონ, რომ ცივმა დილებმა არ გააფუჭონ. თუ რომ დათესილ ნახნავს ქერქი გადაეკრას, მაშინ უნდა თითებიანი ფარცხით(*) დაფარცხონ და ამასთან ერთ მხარეს ესე იგი სულ ერთი მხარისკენ უნდა იარონ ყანაში. თუ უცხო ბალახები გამოერია—უნდა გამარგლონ ისე, როგორც ხორბლის ყანის გამარგვლა ვასწავლეთ. ქერი რომ გათიბონ ისა სჯობია მომკას; ამისთვის ხმარობენ ფოცხიან სათიბელებს. ქერს თავთავი მალე უტყდება; ამისაგამო ადრე უნდა გაითიბოს ხოლმე. გათიბა ან მომკა მშრალ ამინდში უნდა, თორემ სველმა ჩახურება იცის, როცა ძნად დასდგმენ.

(*) ეს ფარცხი ოთხ კუთხეა და ფოცხივით ბევრი თითები აქვს. ამას მოუბავენ ცხენს და ატარებენ ნახნავში რომ მიწა აჩიჩქნოს.

წვრილ მარცვალა ქერი თიხიან მიწაზედ ცუდად მოდის; ამას უყვარს ნაშალი, რბილი. თიხა-კირ ნარევი მიწა. წვრილ მარცვალა ქერისთვისაც ისე უნდა შეიმუშაოს მიწა, როგორც ვსთქვით მსხვილ მარცვალა ქერისათვის. მსუქან მიწაზედ უნდა ძალიან ადრე დაითესოს და გამხდარ, მშრალ მიწაზედ კი გვიან. ამასთან უნდა მშრალ ამინდში დაითესოს, რადგან დათესის დროს სველი მიწა აწყენს.

ფშვრიას მარტო ძალიან ქვიშიანი მიწა არ უხდება, თორემ სხვა ყველა გვარ მიწაზედ მოდის, ნაყოფსაც ბევრს აძლევს, თუ კი მიწას რიგიანად მოუმზადებენ. ფშვრიისთვის სასარგებლოა ნოტიო მიწა; აგრეთვე სველ, საფლობ და ცივ ალაგებშიაც კარგათ მოდის.

ფშვრიისთვის მიწას ისეთი მომზადება არ უნდა, როგორიც სხვა ყანებისთვის არის საჭირო. თუ კარგი მიწაა, საკმარია, რომ შემოდგომაზედ მოხნან ერთხელ და გაზაფხულზე დათესონ და დაფარცხონ. თუ მიწა წებოიანია და ყამირი, მაშინ უნდა ორჯერ სამჯერ შემოდგომაზედ მოხნას და ერთიც გაზაფხულზედ და მერე დაითესოს. თუ ფშვრიის დათესა ჰსურდეთ იმისთანა მიწაზედ, რომელზედაც იონჯა ყოფილა, ან საქონელის საძოვარი, იმისთანა საძოვარი მიწა უნდა უთუოდ შემოდგომაზედვე მოიხნას და გაზაფხულზედ პირდაპირ დაითესოს და დაიფარცხოს. თუ მიწაზედ კარტოფილი, ხახვი, მიწივაშლა თესილა, მაშინ ის მიწა შეიძლება მოხნას და ფშვრია დათესოს, კარგი მოვა.

თუ ადრე დათესა ფშვრია, უფრო მსხვილი მარცვალიც მოვა და კარგი თეისებისაც; ეს კია რომ ნამჯა მოკლე ექნება. თუ ხანგრძლივ სველი ან მშრალი ამინდი დაუდგა, მაშინ ფშვრია ყვითლდება და ჰლექდება, მარამ თუ მერე დათბა და წვიმებიც მოუვიდა—მოკეთდება და ჩქარა გაიზდება. ფშვრია უნდა ადრე მოიმკას; და რადგან ყველა ერთად არა მწი-

ფდება, ამიტომ არ უნდა დაუცადონ ყველას დამწიფებას.

ფშერიას ხმარობენ ცხენის საჭმელად, და რადგან ნოყიერი მარცვალი აქვს, ამიტომ ბევრგან პურადაც ჰსჭამენ; ფშერიის ნამჯა ბევრით არ დაუვარდება თივას და ამიტომ საქონლისათვის ძალიან სასარგებლოა.

ფეტვს ნაშალი, მხურვალე და მსუქანი მიწა უყვარს. თუ მიწას ახალი დაყრილი აქვს სასუქი, ფეტვი მაშინვე არ უნდა დაითესოს შიგ, არამედ მეორე წელიწადს; აგრეთვე იმ მიწაზედაც კარგა მოდის, რომელიც დასვენებული ყოფილა და საქონლის საძოვარი.

ფეტვისთვის ძალიან უნდა დაშალოს მიწა. ამისგამო კარგი იქნება ორჯერ სამჯერ მოხნას და დაფარცხოს, რომ ბელტები სრულებით დაიშალოს და ბალახის ფესვები ამოვარდეს. წვიმიანი ზაფხული მაწყინარია ფეტვისთვის. გაზაფხულზედ გვიან უნდა დაითესოს, როცა ყინვების შიში აღარ არის, და დათესის შემდგომ სუმბუქად დაჰფარცხოს.

ფეტვი გვიან ამოდის მიწიდამ, ამისგამო თუ ბალახები ამოვიდეს დათესილში, მაშინ უთუოდ უნდა გაიმარგლოს; ბევრგან ერთ ზაფხულში ორჯერა ჰმარგლენ. როდესაც მეტი ნაწილი დამწიფდება, მაშინ უნდა მოიმკას და მაშინვე წაიღოს მინდვრიდგან, თორემ მარცვლებმა ჩაბნევა იციან.

სიმინდი იმისთანა მიწაზედ მოდის, რომელიც მხურვალეა, ნაშალი და მსუქანი. სიმინდის დამწიფებისთვის საჭიროა ოთხი თვე სითბო. რომელიც გვიან მოდის, იმ სიმინდმა უფრო დიდი ტანიც და მოსავალიც იცის. ერთი ჯიშის სიმინდი ორმოც დღეზედ მოდის; ეს სიმინდი პატარა ტანისაც იზდება და უფრო ნაკლები მოსავალიც იცის.

სიმინდი უნდა თხლათ დაითესოს, ან რიგზედ დაირგოს მაშინ, როდისაც ღამის ყინვები აღარ იქნება ხოლმე; როდესაც ამოვა, მაშინ უნდა გაითოხნოს და მიწა შემოეყაროს; რაც ძირში ღეროები ექნება სულ უნდა მოემტვრას, რომ თავი-ღერო არ დაიჩაგროს. ეს მომტვრეული ღეროები საქონლისთვის კარგია საჭმელად. როდესაც სიმინდი ქოჩორს გამოიტანს და დათესლდება, მაშინ ეს ქოჩრებიც უნდა მოამტვრიოს და საქონელს შეუნახოს. როდესაც ტაროები დამწიფდება, მაშინ სიმინდს მოსჭრიან და ტაროებს გააცლიან ხოლმე. ეს ტაროები, თუ საჭირო არ არის, ერთად არ უნდა დაცეხვოს, არამედ ნაწილ-ნაწილ, რამდენიც დასჭირდეს. სათესლედ ტაროები უნდა დაფხვნან, დაცეხვილი სიმინდი თესლად არ ივარგებს. ფუჩეჩი კარგი საჭმელია საქონლისათვის.

---

## სახალხო მედიცინა (ექიმობა)

გალაყებული კვერცხი, წამხდარი ერბო აგრეთვე ნადები ხორცი და მყრალი თევზი კაცმა არ უნდა სჭამოს. როგორც მძიმე ჰაერი ახდენს კაცის სისხლსა, ისე ამისთანა საჭმელიცა. ამ გაფუჭებულ საჭმლის სილეშე გადადის ტანში და უმზადებს კაცს ცუდს სენსა. თუ ამისთანა საჭმლის მჭამელს რამე ასტკივდა, ეს ავათმყოფობა ცუდი სისხლის პატრონს მალე გაუძნელდება და ავ-მოსარჩენ ავათმყოფობათ გადაექცევა ხოლმე. როცა კაცის ტანში წამხდარი სისხლი დგას, ხელი ან სხვა ასო ცოტათ რომ გაიჭრას, მალე არ მოურჩება და გადაექცევა დიდ იარათა, სიმსივნე გადაექცევა მუწუკათ; გაციევებისგან ამტყდარი ხველა—მჭლექათ; ციება—ცხელებათ, მერე როგორ ცხელებათ!.. სნებათ გადაექცევა, რომელიც არის ძალიან საშიშო და სხვ. ყველას ისა სჯობია, რომ ცუდი საჭმლისაგან წამხდარი სისხლი კაცმა გ იკეთოს. ამის წამალია ისა, რომ თავი დაანებოს წამხდარი საჭმლის ჭამასა და თუ ტანში სისხლის სიცუდე ცხადათ გამოაჩნდა, ერთი ექვსი კვირა მაინც უნდა სვას ხოლმე ის ფიჭვის მკვარის წვენი, რომლის კაკეთებაც „სასოფლო გაზეთის“ მესამე ფურცელშია აწერილი. სურავანდის მოსარჩენათ რომ მკვარიანი წყალია ნახმარები, სისხლის გასაკეთებლათაც იმისთანაა საჭირო. როცა ცუდი სისხლი მუწუკებათ გამოხეთქს ტანში, ამ მუწუკების მალე დასამწიფებლათ და გამოსაწყავათ კარგი იქნება, რომ კომბოსტოს ფოთოლზე გაგლისო უმარილო კარაქი და ზედ დაიდვა.—

სოფლელ მუშას თვალი ხშირად ასტკივდება ხოლმე: თვალი უხურს და ეწვის, ცრემლი მოსდის, კილოც უწითლდება, იმის გამო რომ თვალში რაღაც ჩავარდნია და ვერ ამოუღია, ან თვალები რაღასაც შეუწუხებია, ან იმისგამო რომ ზაფხულის სიცხეს დაუწვავს და დაუსიცხავს. თუ თვალში პატარა ხიჭი (ხიწვი) ჩავარდნია და ვერ ამოუღია, კარგი იქნება, რომ თვალში ქალის რძე ჩაისხას, ან თუ ის არა, მაშინ ძროხის რძის ნაღებიც კარგია. როცა თვალის კილოზე ხიჭი გამოჩნდება, მაშინ გაბთხილებით კალმის ნაბ ტყვენით (ბუსუსით) უნდა გამოიღო, ხანდახან ისიც კარგია, რომ ქვედა უბის წამწამი შეაგდო ზემო უბეში. ხშირათ წამწამი გამოიღებ ხოლმე თვალში ჩავარდნილს ხიჭსა. ამ იქით თვითონ თვალის ტკივილიც გადაუვარდება.

როცა თვალი დაწითლებულია და ცრემლი ჰსდის კარგია ხაჭოს დადება; მაგრამ თუ დროზე კაცმა არ იწამლა და თვალის კაკალზე ნატკენისგამო თეთრი გაუჩნდა, მაშინ კრაზანა ზეთი უნდა ჩაისხას თვალში. აი ეს ზეთი როგორ კეთდება; უნდა მოკრიფო კრაზანას ყვავილები და იმითი ნახევარი ბოთლი გაავსო, ძალიან მაგრათ უნდა დაუცვა თავი, გარ უნდა შემოაკრა პურის ცომი და შედგა ქურაში, ან ჩაფლა ღველფში კი არა, ცხელ ნაცარში, მეორე დღეს ბოთლი გამომცხვარ პურიდგან უნდა ამოიღო და კიდევ ისე მოექცე, როგორც წინადღეს. ამას შემდეგ უნდა გამოსწურო ზეთი ბოთლში ჩაყრილ ყვავილებიდგან. ზეთი წითელს ფერს დაიჭერს; დღეში ორ-ორი წვეთი უნდა ჩაისხა ხოლმე თვალში, მინამ თვალს თეთრი არ გადაეცლება.

სოფლის მუშა ხშირად წვალობს ხოლმე იმით, რომ რასაც გაიჭრის, იმის მორჩენა არ იცის. თუ ცული დაირტყი რაზედმე და გაიჭერი, ჯერ წყლით უნდა დაასველო რამდენ ჯერმე დაკეცილი ჩვარი და გაჭრილზე დაიდვა. ამისთანა-ჩვარი ხშირად უნდა გამოიცვალო ხოლმე; როცა ჭრილობა დაჩირქდა, მაშინ უნდა გადმოადუღო სელის ზეთი, გააციო და ია რაზე დაიდვა. თუ გაჭრილი დასივდა ისე, რომ ჩირქი ცოტა მოსდის, მაშინ სელის ზეთში უნდა გარიო ნაძვის კვარი და ერთათ გადმოადუღო. თუ მალამო აქვს კაცს, ან იმის კეთება იცის, იმის ხმარება ყველას აჯობებს. გაჭრილზე დასადებათ ბებრას (ბორბალის) ქსელიც კარგია სისხლის შესაწყვეტათ, მაგრამ მინდორში რომ გულდაფშუტა მოდის, იმისთანა მალე მომრჩენი ჭრილობისა არა არის რა. გულდაფშუტა ჰგავს ქამასოკოს. როცა მობერდება, კანი გაუსქდება ხოლმე და იქიდგან შავი მტვერი მოსცვივა. აი ამ გვარი გულდაფშუტა უნდა დაიდვას ხოლმე კაცმა გაჭრილზე.

დასასრულ ამასაც ვიტყვით, რომ კაცისთვის ბევრათ სჯობია, თავს გაუფთხილდეს

და ავათ არ გახდეს, ვიდრე ავათ გახდეს და თავი მოირჩინოს. ამიტომ რომ ყოველი ავათმყოფობა ტანს ასნეულებს და მალე აბერებს. წამალს სრულად არ შეუძლიან ავად მყოფობის კვალი ტანში მოშალოს.

---

## საქონლის პირისა და სხვა ავად-მყოფობის ცნობა და იმათი წამლობა ადვილის და იეფის საშუალებით.

(გაგრძელება).

### ცხოველის სხეულისაგან უსარგებლო ნივთების გამოყრა.

ამის წინად ჩვენა ვსთქვით რომ ცხოველისაგან მიღებული საჭმელი კუჭში ნელდება, ნაწლევებში ნოყიერ წვენად იქცევა, იმ წვენიდგან სისხლი მზადდება და ეს სისხლი არის სხეულის საზრდო და მაცხოვრებელი; ხოლო რაც უსარგებლო და მეტი ნივთები იქნება საჭმელში, იმას ცხოველი ჰყრის გარეთ უკანა ტანიდგან და კიდევ სხვა ასოებითაც. ცხოველი სხეულის გარე გაყრილი სხვა და სხვა ნაირია: ტყავისაგან (კანისაგან) გარე გაყრილი არის ოფლი, თვალების გარე მოყრილი ცრემლია, ცხვირისა—ნახოცი, თირკმელებისა—შარდი, ღვიძლისა—ნაღველი და სხვ.

რასაც ცხოველი თავისი სხეულისაგან გაჰყრის გარეთ, იმის მაგიერად ხელახლა მიიღებს საჭმელს და ამ გვარად გასავალი ან დანაკარგი სხეულისა შეივსება შემოსავლით; ესენი ალებ-მიცემა, შემოსავალი და გასავალი, ცხოველის სხეულში ყოველთვის ერთნაირად უნდა იყოს და არ აჭარბებდეს ერთმანეთს, თორემ უამისოდ სხეულის კარგა მყოფობა შეუძლებელია.

ამის გარდა, რასაც ცხოველი რამე მუშაობის დროს დაჰკარგავს: ღონეს ან ხორცს, იმასაც ისევ უკან მიიბრუნებს საჭმლით: ყველა ნაირ გასავალს ჰფარავს შესავალი—საჭმელი.

### ცხოველი სხეულის მოძრაობა.

ცხოველი ერთი ალაგიდამ მეორე ალაგს გადადის ანუ მოძრაობს: აბიჯებს, იორღად მიდის, ჰქნობს და სხვ.—ძელებისა, კუნთებისა და მშრალი ძარღვების შემწეობით. მოძრაობა ორნაირია: ნებითი და უნებური. ნებითი მოძრაობა ისეთი მოძრაობაა, რომელსაც ცხოველი თავის ნებით სჩადის, მაგალითად: ჰქნობს, დარბის, ტოკავს, და სხვ.; ხოლო უნებური მოძრაობა ისეთი მოძრაობაა, რომელიც იმის ნება დაუკითხავად ხდება იმის სხეულში, მაგალითად: გულის მოძრაობა, კანკალი, თავის ცანცარი და სხვ.

### ცხოველის გრძნობა და ამ გრძნობათ იარაღები.

ცხოველი გაირჩევა მცენარისგან იმითი, რომ სული აქვს, ჰგრძნობს, მოსაზრება იცის, მოწყენაც, სიყვარულიც, პატრონისაგან კარგ ქცევასაც ძალიან იფერებს და ისეთი ერდგულებაც იცის, რომ ბევრჯერ თავის სიცოცხლეს შესწირავს ხოლმე პატრონს. ყველა ეს თვისება წარმოსდგება იმის ტვინისგან, რომელიც ძევს იმის თავში, ან თავის ძელებში. ბევრჯერ უნდოდათ გაეგოთ, თუ რა მოუვიდოდა საქონელს, რომ ტვინი ამოეღოთ იმის თავიდგან, ან შიგ დაესერათ დანით; მაშინ პირუტყვი, ძალიან გონიერიც რომ ყოფილიყო, სრულებით ჰკარგავდა გონებას, აღარ იცოდა როგორ გადაედგა ფეხი, სად წასრულიყო, აღარც საჭმელსა სჭამდა, ხსოვნაც ეკარგებოდა და სრულებითაც რეტიანდებოდა.

ცხოველთ აქვსთ ხედვა, გემო, ყნოსვა (სუნის შეტყობა) და შეხება (გარეგანი თვისების შეტყობა). ამ გრძნობებისათვის იმათ სხეულს სხვა და სხვა ასოები აქვსთ, მაგალითად: ჰხედვენ თვალებით, ისმენენ ყურებით, გემოს იტყობენ ენით, შეხებაც, ანუ გარეგანი თვისების გარჩევა (მაგარია, თუ რბილია, ცხელია, თუ ცივია) შეუძლიანთ ტუჩებით, ფეხებით, კანით და სხვ. ამ გრძნობათ გარდა (ეს გრძნობანი კაცსაცა აქვს), ცხოველებს ერთი შინაგანი გრძნობაცა აქვსთ, რომელსაც ეძახიან ინსტიკტს ანუ მიხვედრას; ამ გრძნობით ცხოველი წინადვე იტყობს ან მიჰხვდება ხოლმე, რა აწყენს და რა არგებს, ან რა არის იმისთვის საშიში, და ამ მიხვედრით ის ერიდება ყველა თავისთვის მავნებელ რამეს; მაგალითად: ცხენს რომ მინდორზედ გაუშვებთ ხოლმე, ის არაოდეს არ მოსძოვს იმის მაწყინარ ბალახს, ან ცოფიან ძაღლს რომ დაინახვენ კარგა მყოფი ძაღლები, მაშინვე ემალებიან არ დაგვეცოფოსო და სხვ.

### ცხოველთ ნათესავის გამრავლება.

ჩვენ ვხედავთ რომ ზოგი ცხოველები კვდებიან (თავიანთი სიკვდილი არის, თუ დაძალებული სიკვდილით) და ზოგნი კი იმათ ნაცვლად იბადებიან.

ცხოველი მაშინ დაიბადება, როდესაც მამალის თესლი დედალი ცხოველის თესლთან ირევა: ამას ჰქვიან ჩასახვა. სათესლე ასოები, ანუ საშვილოსნო ასოები დედალსა და მამალს სხვა და სხვა ნაირი მოწყობილობისა აქვსთ.

ჩვენ ადრევე შევადარეთ ცხოველის სხეული წისქვილს. ეხლაც ისევ ის უნდა გავიმეოროთ. წისქვილი შემდგარია სხვა და სხვა იარაღებისაგან და ყველა იმ იარაღს, ან ნაწილს თავისი საქმე აქვს დანიშნული; ერთ-ერთი ნაწილი, ან იარაღი რომ წაუხდეს წისქვილს, მაშინვე გაკეთება მოუნდება, თუარა კარგად ველარ იმუშავებს და ან სრულებით დადგება.

ცხოველის სხეულიც წისქვილივით სხვა და სხვა ნაწილებისგან შესდგება და ყველა იარაღს (ნაწილს) თავისი საქმე აქვს დანიშნული; კუჭი მიღებულ საჭმელს ინელებს; ღვიძლი ნაღველს აგროვებს, კუჭის-ქვეშეთ ზღმურდლებსა და ტყირპს გამოსდის ნერწყვის მსგავსი სითხე; ნაწლევები გადახარშული საჭმლიდგან ამზადებენ თეთრ რძის ფერ წვენს (ნოყიერ წვენს), რომელსაც შემდეგში, შესუნთქული ჰაერისაგან, წითელი ფერი ეძლევა და ხდება სისხლად; გულისა და სისხლის მასრები ჰფანტვენ სისხლს მთელ სხეულში, ფილტვები ისუნთქვენ ჰაერს, რამდენიც კი სხეულისთვის საჭიროა; აგრეთვე ზოგიერთ ნაწილს უსარგებლო ნივთები გააქვსთ გარეთ: თირკმელებს—შარდი, ტყავს (კანს) ოფლი, ნერწყვის ზღმურდლებს—ნერწყვი, თვალებს—ცრემლი და სხვ. თუ რომელიმე ამ მოხსენებული იარაღებისა წახდენა ან დაშავდება, მაშინ საჭირო იქნება სხეულისათვის წამლობა. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ცხოველის სხეული სრულებით არ შეედარება უსულო წისქვილს; განსხვავება მარტო იმაშია, რომ ცხოველს სიცოცხლის ძალა აქვს და ეს ძალა ბევრჯერ უექიმოდ გაუსწორებს ხოლმე იმას წამხდარ ასოს; მაგრამ წისქვილი კი ვერაოდეს ვერ გაისწორებს თავის თავად გაფუჭებულს იარაღს, რაც უნდა გამოჩენილი ოსტატის გაკეთებულიც იყოს; მაგალითად: ძაღლმა რომ მოჭარბებით აივსოს მუცელი რამე საჭმლით, იმისი კუჭი ველარ შეიძლებს იმის მოხარშვას; მაშინ იმისი სხეული უოსტატოდ, უექიმოდ, ცდილობს საქმის გასწორებას: ძაღლს მოსდის გულის რევა და ამით რაც მეტი უჭამია სიხარბით, ისევ უკანვე ჰყრის პირიდგან და ასე ირჩენს თავის თავს.

ვსთქვათ რომ ცხენს სისხლი გაუფუჭდა ანუ ციბირის სენი გადაედო; იმისი ბუნება მაშინ ექიმს არ უცდის, ცდილობს რომ სენი სხეულიდამ მოიცილოს და ამის გამო შიგნით სენს გარეთ გაჰყრის მუწუკებათა და ლუდუდებად.

ყველა საქონლის პატრონისთვის საჭიროა, რომ იცოდეს ავადმყოფი საქონლის გარჩევა კარგა მყოფი საქონლისაგან; ამისათვის მე ავწერ აქ კარგა მყოფი საქონლის (უფრო რქიანის) ნიშნებს.

კარგამყოფი საქონლის ნიშნები.

კარგა მყოფი საქონელი ადვილად და თავისუფლად აბიჯებს, ბალანი დაწმენდილი აქვს და უელავს; ტყავი ანუ კანი სუფთა აქვს, არც მუწუკები აყრია, არც ფერფლი, ქეცი, მუნი, და სხვა; ხშირად ილოკება და კარგათაც ილოხნება; პირი, ენა, და ღრძილები წმინდა აქვს, ცოტათი სველი, პირიდგან ცუდი სუნი არ ამოჰდის; გულის ცემა ცხადად ისმის მხოლოდ მარცხენა მხარიდგან, სუნთქვა თანასწორი აქვს, სუნთქვის დროს არ ახველებს, არც ქშინავს, არც გვერდები იძვრის და ნესტოებიც არ ეჭიმება; გარეთ გასული და შარდი ჩვეულებრივი სახისა აქვს, ჭამის სურვილი რიგზედა აქვს, არა ხრუტუნებს და წელზედაც რომ ხელი დააჭირო — არ უნდა იტკინოს (დაიზნიქოს).

შინაური პირუტყვის საერთო სენები.

რომელიმე სოფელში, ან გომში, ან ნახირში ერთბაშად რომ ბევრი საქონელი გახდება ავად (ხანდახან მთელი ნახირი) ერთი ავადმყოფობით, მაშინ ამ ავადმყოფობას ეძახიან საერთო ავადმყოფობას. საერთო ავადმყოფობა სამნაირია, ესე იგი სამ გვარი თვისებისა: ერთ გვარი საერთო ავადმყოფობა ისეთია, რომ ერთად ბევრს საქონელს შეეყრება, მაგრამ კარგა მყოფს კი არ გადაედება ავადმყოფისაგან; მეორე რიგი შესაყარია. ეს შესაყარი სენი ავადმყოფი საქონლისაგან კარგა მყოფს შეეყრება, როდესაც ორივე ერთად იქნებიან გომში ან სადმე; ეს სენი შეეყრება საქონელს ცხვირიდამა და თვალებიდამ გამონადენი ნახოცისაგან, ნერწყვისაგან და სხვ. აგრეთვე ჰაერისაგანაც, რომელსაც გამოისუნთქავს ავადმყოფი საქონელი. ამ სენს ჩვენში ეძახიან ჭირს და არის ძალიან მაზარალებელი საქონლის პატრონებისთვის. მესამე რიგი საერთო სენი არის გადასადები, რომელიც გადაედება ავადმყოფისაგან კარგამყოფს შეხებით, როდესაც ერთმანერთს მიეკარებიან; ამისთანა სენს ეძახიან ციბირის სენს. ეს სენი როგორც საქონლისთვის ისე კაცისათვისაც მავნებელია. როდესაც საქონელი, ან კაცი გაისვრება, ან შეეხება ავადმყოფი საქონლის ან კაცის სისხლა, ან ბაყლს, მაშინ ისიც უთუოდ იმ სენით გახდება ავად.

რადგან რქიანი საქონელი ჩვენი ოჯახობისთვის თავი და თავი სიმდიდრეა, ამისთვის შემდეგ ფურცელში დავიწყებთ რქიანი საქონლის ავადმყოფობის აღწერას და იმის წამლობას.

---

## სხვა და სხვა ანბავი.

### კაცის ხელები

თავის ტვინი და ხელები კაცს განარჩევს სხვა ცხოველებიდგან და აძლევს ამათზე მომატებულს ღირსებას. კაცის ხელის კირწი კარგათ რომ გავშინჯოთ, საკურველათ ბრძნულათ არის შექმნილი: ხელის თითებს სახსრები აქვსთ და ადვილი მისატრიალებელ მოსატრიალებელნი არიან, ცერა თითი ყველა თითებთან მიიტანება. თითებს ბოლოზედ ერთ მხრივ (ზევიდგან) ფრჩხილები აქვს და მეორე მხრივ (ქვეიდგან) რბილია. რბილი თითის წვერებში თავდება თავიდგან წამოსული ტვინის ძაფები, რომელნიც აგრძნობინებენ თითებს ყველას, რასაც შეეხება; რასაც კი თითს მივადებთ, თუგინდ თვალები დახუჭული გვქონდეს, მაშინვე შევატყობთ, ის ნივთი რბილია, თუ მაგარი, მრგვალი, თუ პრტყელი, ან თუ უსწორ-მასწოროა და სხვა. ამბობენ, რომ ზოგს ბრმებს თითებით შეუძლიანთ გაარჩიონ სხეულის, ანუ ნივთების ფერი: რომელი თეთრია, რომელი შავი, ან წითელი და სხვა. ამას გარდა ხელით რაც გვინდა, იმას ავიღებთ, დავიჭერთ, გავიქნევთ, გადავაგდებთ და სხვა. ასრეთი სრული მოსახმარი იარაღი კაცის მეტს არა ცხოველს არა აქვს დედამიწის ზურგზედ. საბერძნეთის ფილოსოფოსი არისტოტელი ხელს იარაღთ იარაღს ეძახის. ყოველი გვარი ხელოსნობა ხელის შემწეობით მოუგონია კაცსა; ხელის შემწეობით გაუმჯობინებია კაცს თავისი ცხოვრება და წაუდგავს ცხოვრებაში წინ ის საკურველი ნიჭი, რომლითაც ასე დაშორებულია სხვა ცხოველებზე.—ამას გარდა ხელები გამოსთქვამენ კაცის ვინაობას, იმის სულს და გულ
რომელ კაცსაც დიდრონი, მსხვილი ტყავია
და ძარღვებიანი ხელები აქვს, ვიტყობთ, რო
ის მუშა, ხელოსანი კაცი უნდა იყოს და რო
მელ კაცსაც ნაზი, რბილი და თეთრი ხელე
აქვს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ხელებ
ცოტას მუშაობს. მსხვილი ხელებიანი, მოკ
და მახინჯი თითებიანი კაცი გაუმაძღარი
არაფერი გასაცემათ არ ემეტება, უზრდ
ლი და ავია. ამ გვარი ხელების მქონებ
ლი კაცი ავხორცია და ბიწიერი თვისებისა
ხოლო ვისაც მოგრძო ხელები და ლამაზ თი
ნი თითები აქვს, ის ჭკვიანი უნდა იყოს, ზრდ
ლობიანი ქცევა ექნება დაყველაფერში ს
ყვარელი იქნება (ესეც უფრო ბევრჯერ არ
ხოლმე ასე). პატარა, მოგრძო ხელები, ლამა
ზი ფრჩხილებით შემკობილი, სუსტი თითებ
ამტკიცებენ, რომ იმათი მქონებელი კაცი ქ
თილ ნაზარდია, სუფთაა და სხვა.

### კაცის აზრის გამომთქმელი ხელ ნიშნები.

ხელის კირწები(თათები)კაცს დიდს ხმარებაში
აქვსდა იმდენათ მოუცილებელი იარაღია კაცის
თვის, რომ ვისაც დაკვირვება პატარაობიდგა
ნვე სჩვევია, ის, უეჭველად, კიდეც შენიშნა
ვდა, რომ კაცის სულიერს მდგომარეობას ხე
ლები ხატვენ. პირზეც რომ არ შევხედოთ
ხელის კირწითაც ვიცნობთ ქალს კაცის ტან
საცმელში, გლეხს მდიდრულათ მორთულ
ქალის ტანთ-საცმელში და ნაზს ქალაქ
ფრანტსა (თავ მომწონე ახალგაზდასა) გლეხ
ტანთ-საცმელში. წყნარისა და მშვიდობიან
კაცის ხელის კირწი სულ სხვა ნაირია და ნა
ღვლიანი, ჯავრიანი, კაცისა სულ სხვა ნაირია
ადვილ-მგრძნობარე კაცის ხელები ბევრა
განირჩევა გულისთქმით სავსე კაცის ხელე
ბისაგან. ხელის კირწებზე შეატყობ კაცს, თ
რა წოდების და რა ხელობის კაცია. თუ
მსხვილ კანიანი და დამეჭეჭებული ხელებ
აქვს ვისმე, მაშინვე უნდა მიხვდე, რომ იმი
პატრონი მუშა კაცია. თუ კაცს ნაზი ხელი
კირწები აქვს და სუფთა კანიანი, უნდა დარ
წმუნდე, რომ ამისთანა კაცი ხელით არა
აკეთებს და უქმათ გაატარებს. (*) მსხვილი ხე

---

(*) ჩვენის აზრით ზოგიერთი ქვემოხსენებული შენიშვნა მართალი არ უნდა იყოს და მეცნიერებაც ბეჯითად ვერ დამტკიცებს. რედაქტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კირწყბიანი კაცი, რომელსაც მოკლე და თითქოს დახრუკული თითები ასხიათ, ის კაცი დაბალი სულის კაცია და საძაგელი, ბოროტი ხასიათი აქვს; ამ ნაირი ხელები ამტკიცებენ კაცის გაუმაძღრობასა, სიძუნწესა (ლუწობას) უზრდელობას და სიფიცხეს. გრძელი ხელები, რომელსაც მშვენიერი თითები ასხია, იმის პატრონის ზრდილობას, კარგს ყოფაქცევას და მოყვარულობას. პატარა გძელ თითებიანი ხელები ნიშნავს იმის პატრონის დარბაისლობას და სისუფთავეს. როცა ხელი საქმეშია, ან თუ უძრავათ არის, ორივე შემთხვევაში ბევრს რასმე ხატავს იმის პატრონის სულიერ მდგომარეობაზე. თუ ხელები მშვიდათ არიან, მაშინ კაცსაც არაფერი აშფოთებს, სული არა აქვს აღელვებული. ხელების წამის წამს მოხრა და დამუჭვა გულისთქმაში შესვლას ნიშნავს. ერთი სიტყვით ხელების მრავალნაირი ნძრევა კაცის ბევრ ნაირს სულიერს მდგომარეობას ხატავს.

**ხელის კირწების გაფრთხილება.**

კაცს ბევრნაირათ ემსახურება თავის ხელები, ამისთვის ხელის გამაფუჭებელს მოქმედებას ვერ აიცდენს: მოხდება ხოლმე, რომ კაცი ხელს გაიჭრის, დაიწვავს, დაიდულრავს, ტკენს და სხვა. ამისთანა ნატკენები ხელის კანს აფუჭებს და შეხების გრძნობასაც უბლაგვებს. უწინ რომ გრძნობდა, ნატკენი ხელით ისე ველარ არჩევს სხვა და სხვა ნაირ წმინდა ნივთებსა, ანუ საგნებსა. (გინდა ნივთი გითქვამს, გინდ საგანი ორივ ერთია). კაცი უნდა ერიდოს სხვა-და-სხვა ხელის დამწველსა, სითხის ალებასა (სითხეს ვეძახით ყოველს გვარს ნაწყალსა, გინდ თხელს ნივთსა; წყალი, ღვინო, რაწყენი—ამაებს სულ სითხე ჰქვიან). ან თუ აიღოს ისა, წინდაწინ მაინც ქონეული, ან ქოლენიანი რამე უნდა წაისვას; კრემ-ნ ექი(*) ყველთვის ემჯობინება. ამაებს ჩვენ ვურჩევთ იმისთანა კაცებს, რომელნიც არ მუშაობენ, უმისოთაც ღვთის მოწყალებით, ბევრი სარჩო აქვთ და თავიანთს ხელების სუფთაობაში ატარებენ სიცოცხლესა. ვინც თავიანთი ძვალ-მსხვილი და კან-მსხვილი ხელებით მუშაობს, იმასაც ვურჩევთ ხელების გაფრთხილებასა. ხელია კაცის ორღანო ან იარაღი, რომლითაც ის ბევრს რასმე აკეთებს და ამიტომაც ყველა უნდა ცდილობდეს იმის კარგათ შენახვასა. როცა ცხელი წყლით დაიბანო ხელები, არაოდეს იმავ წამს გარეთ სიცივეში არ უნდა გამოხვიდე, ან თუ ზამთარში ცეცხლზე ათბობ ხელებსა, იმავ წამს გარეთ აღარ უნდა გამოიტანო, ამისთვის რომ ხელის კანი ფუჭდება, მაგრდება, ხმება, შავდება, სქდება და კიდეც ძვრება. ზამთრით მაინც ძალიან საჭიროა მატყლის ხელთათმნების ხმარება შეუძლებელი კაცისთვის, თორემ შეძლებული ჩვენ დაურიგებლათაც ლაიკის ხელთათმნებს არ იშორებს. ისიც კარგია, თუ კაცი ხშირად იბანს ხოლმე ხელებს და სუფთათ აქვს შენახული.

(*) აფთიაქში უნდა იკითხო—იქ იყიდება.

ბევრი მაღალ წოდების ქალები ცდილობენ ხელების სისუფთავეს და კარგათ შენახვას, ამიტომ რომ კარგი ხელები კაცის თვალს აამებს და იმის პატრონსაც შეაყვარებს. ამისთვის ქალები ხშირად ისმენ ხოლმე სხვა და სხვა ნაირად შეზავებულს გასაყიდს წამლებსა. ბევრია ამისთანა შეზავებული წამალი, რომელიც ძალიან მალე ასუფთავებს ხელებს და კიდეც ათეთრებს. იმის გამყიდავები ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ რაც შეიძლება ბევრი გაჰყიდონ თავიანთი საქონელი, აცხადებენ გაზეთებში, რომ აი მე ამისთანა და ამისთანა ხელის გამკეთებელი წამლებიმაქვსო, მაგრამ კაცი უნდა ერიდოს ამ გვარ წამლის ხმარებასა, ამისთვის, რომ ვთქვათ მალე გაასუფთავებს და გააკეთებს ხელის კანსა, მაგრამ ცოტახანს შემდეგ კი ხელს ტყვიის ფერი ედება, ხმება და სქდება.

პურის გული, ქატო, წმინდა საპონი ხელის გასასუფთავებლად ყველას სჯობია. ესენი არამცთუ ასუფთავებენ ხელებს და გააცლიან ჭუჭყსა, არამედ ხელის კანსაც არბილებენ და ნაზათ შეინახვენ. ბევრს კაცს და უფრო ახალ-გაზრდას ფრჩხილის ნუნებთან აეცრცნება ხოლმე ხორცის კანი, დაუსქდება, ნუნებთანაც ცოტათ დაუსივდება, სისხლი გამოჩნდება და კიდეც დაუჩირქიანდება. ფრჩხილებთან ტყავი უფრო ხშირად აეცრცნება ხოლმე მრეცხლებსა და მღებრებსა. ზოგია, რომ სიცივეში ემართება ხოლმე ესა, და ზოგს მარტო გოლვიანობაზე; არამც და არამც კაცმა ხელით არ უნდა მოიგლიჯოს აცრცნილი კანი, იმიტომ რომ ნატკენი უფრო გაუძნელდება, ნუნის ძირები დაუსივდება და შეიძლება ფრჩხილში დუდგოც გაუჩნდეს. ფრჩილის ნუნებთან კანის აცრცნის მოსაშორებლად აი როგორ უნდა მოიქცეს კაცი: უნდა წაისოს ხოლმე ნატკენებზე თხის ქონი და ცოტახანს შემდე აცრცნილი ტყავი ძირში მოჰკვეცოს მაკრატლითა. ნატკენებზე ხელი არ უნდა წაისვას, არც მიაკაროს. თუ მაკრატლით მოკვეცოს და შემდეგ ტკივილი არ დაუცხრეს, აფთიაქში ნაყიდი პლასტერი უნდა დაიდვას ნატკენებზე ან მალამოთი გაგლესილი წმინდა ნაჭერი. თუ არც ეს დაურჩა, მაშინ ხელ მეორედ თხის ქონი უნდა წაისვას.

---

**ორიოდე შესანიშნავი დარიგება ბოსტნის კეთებაზე.** თუ კარგი ბოსტნის მკეთებელია, ან თუ კარგს ადგილზეა ბოსტანი გამართული, დიდს სარგებლობას იღებს იქიდგან მეოჯახე. რაც ყანას მიწა უნდება, იმისი ნახევარიც რომ ბოსტანს მოანდომო ის უფრო მეტს სარგებლობას აძლევს, ვიდრე ყანა. ყანის კარგი მოსავალი ამინდზე ჰკიდია, ბოსტანს რომ ცუდი ამინდიც დაუდგეს, არაფრათ დაიჩენს, ამიტომ რომ ბოსტნის მორწყვა ყოველთვის შეიძლება და ყანის კი არა. აგრეთვე თუ კაცმა, როგორც რიგია, ისე იცის ბოსტნის მოვლა, უეჭველად ბევრს მავნებელ ჭიებისაგან და ლოკოკინებისგან დაიფარავს.

ზოგი ბოსტნეული მოჰყავთ პატარა ადგილზე, რადგან ძალიან კარგი მოვლაც უნდა, და ძალიან განოყიერებული ნიადაგიც; ზოგი ბოსტნეული კი იმდენი მოჰყავთ, რამდენიც სხვა ნამუშევარი და მთელი ყანებიც უნდება იმის მოყვანასა. ამ შემთხვევაში დიდი თვალ-ყურის დევნებაც ჰმართებს მუშაკაცსა; ძალიან საჭიროა, რომ რიგიანი ადგილი და ამასთან კარგი ნოყიერი მიწაც გამოარჩიოს; გასანოყიერებელი მასალა ან სამზადისიც საკმაოდ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ბოსტნეულის მოყვანას ერთი ორათ მომეტებული მოვლა სჭირდება, ვიდრე სხვა ხორბლის გვარ მცენარეებს; ძალიან საჭიროა, რომ მცოდნე მუშები ჰყავნდეს, დიდ-ბოსტნის მკეთებელსა და აგრეთვე რასაც მოიყვანს, იმისი გაყიდვაც საეჭვოთ არ დაურჩეს. ამიტომაც დიდი ბოსტნის კეთება დიდი ქალაქების მახლობლათ არის სასარგებლო. თუ კაცი ქალაქზე მოშორებით დგას, იმისთვის დიდი ბოსტნის კეთება არ არის გამოსადეგი, ამიტომ რომ მყიდველი არ ეყოლება.

### ბოსტნის მკეთებელთათვის გამოსადეგი დარიგება.

ხაცა პური მოდის, იქ ბოსტნეულის მოყვანაც შეიძლება; თუ ყველა გვარის ბოსტნეულისა არა, ზოგიერთის მოყვანა მაინც უეჭველად შესაძლებელია; მაგრამ კარგ. ბოსტნის მოსავალი ნიადაგი მიწის მდებარეობაზე ჰკიდია. ესეც უნდა ავხსნათ, ჩვენ რას ვეძახით ნ ი ა დ ა გ ს, რომ ბეჯითად იმ აზრით გაიგოს მკითხველმა რა აზრითაც ამ სიტყვებსა ვხმარობთ. ნ ი ა დ ა გ ი ზედა მიწის პირია, რომელზედაც ყოველი მცენარე ამოდის და რომელზედაც ჩვენ დავდივარ. ამ მიწის პირზე ბევრი რამ მცენარე და ცხოველი კვდება, ირღვევა, იმის დანაშთენი ერევა მიწას და ანოყიერებს, ასუქებს. ამ მიწის პირსა, გასუქებულსა მცენარისა და ცხოველის მძოვრითა, ჩვენ ვეძახით ნ ი ა დ ა გ ს. ამას შემდეგ ამ აზრითაც ვიხმაროთ ეს სიტყვა. ერთსა და იმავე მხარეში, ზოგგან კარგი ნიადაგია, ზოგგან ცუდი, ამიტომაც ზოგგან კარგი და ბევრი ბოსტნეული მოვა, ზოგგან კი ცუდი.

ვისაც ბოსტნის გაკეთება ჰსურს იმან ნიადაგისა და ალაგის ამორჩევაც უნდა იცოდეს. ბოსტანი უნდა იყოს სახლს ახლოს. მავნებელი ცივი და გამახმობელი ქარი არ უნდა ჰხვდებოდეს. ამ მხრით მაღალი ღობით და ხეებით უნდა იყოს დაცული. საითაც უფრო ძალიან ხვდება მზე. იქით უფრო გაშლილი უნდა იყოს ბოსტანი, რომ ბევრი სითბო ეძლეოდეს. სხვა დაწვრილებითი დარიგება შემდეგისთვის გადავდევათ.

### თამბაქოს მაწყინარი თვისების შესუმბუქება.

დიდი ხანია, რაც თამბაქოსა ხმარობენ. აგრეთვე ისიც დიდი ხანია, რაც ზოგნი ამბობენ, რომ თამბაქო კაცს არაფერ წყენას არ აძლევსო და ზოგნი კი ამტკიცებენ, რომ, გარდა მეტი ხარჯისა, თამბაქო კაცის სხეულისთვისაც ძალიან მაწყინარია. ბევრმა მსწავლულმა გამოიკვლია თამბაქოს თვისება და ყველა დარწმუნდა, რომ თამბაქოში ისეთი ნივთი არის, რომელიც კაცის ფილტვებსა სწყინს. ამ მაწყინარ ნივთს ჰქვიან ნ ი კ ო ტ ი ნ ი. ნიკოტინიან ჰაერს რომ შეჰსუნთქავს კაცი, მაშინ იმას სისხლი ეწამლება და ამისგამო იმის მთელ აგებულებასაც ზარალი მოსდის. ამის გარდა ნიკოტინი მოქმედებს ხერხემლის ტვინზედ და მისგამოც, ვინც ბევრსა სწევს, იმას, დროს განმავლობით ფეხები უდუნდება; ამასთან მოსდის სასუნთქის ანთება, ხრინწი, თვალის ქუთუთოების ძარღვების შეკრუნჩხვა, ღრძილებზედ თეთრი ზოლი და ხანდახან ტუჩზედაც კუ. თამბაქოს ქარხნებში ვინც მუშაობს, იმათაც ესეთი სენები ემართებათ ხოლმე.

რასაკვირველია კარგი იქნებოდა, რომ სრულებით თავი დაენებებინათ თამბაქოს წევისთვის, რადგან, გარდა ხარჯისა, ასნეულებს კაცს და შემატება კი სრულებით არა შეუძლიან რა (ისევ ავჭრებს თუ შეჰმატებს რასმეს). მაგრამ დროს განმავლობით რადგანაც უფრო მრავლდებიან თამბაქოს მხმარებელნი და უფრო ხშირათაცა სწევენ, ამის გამო მსწავლულნი დიდი ხანია ცდილობენ მოიგონონ ისეთი ოსტატობა, რომ თამბაქოს ნიკოტინი (მაწყინარი თვისება) გამოაცალონ, რომ კაცისთვის ისე მაწყინარი აღარ იყოს. ერთმა მსწავლულმა შაფფიმ მოიგონა ისეთი ოსტატობა, რომლითაც შეიძლება ნიკოტინი გამოაცალონ თამბაქოს. ეს ოსტატობა არის შემდეგი: ერთ დიდ ჰურჭელში უნდა ჩადონ ერთი გირვანქა თამბაქო (ან რამდენიც უნდათ) ფოთლებად, დაასხან წყალი და მოურიონ ისე ფთხილად, რომ ფოთლები არ დაიჩქლითოს. ერთი საათის უკან წყალი უნდა გადაღვარონ; ეს წყალი გამოიტანს ბევრ ნიკოტინს და რუხა (წაბლის) ფერისა იქნება. მერე ახალი წყალი უნდა დაასხან და თანაც მიუმატონ მაგარი სპირტი, თითო გირვანქა თამბაქოზედ ოთხიდამ შვიდ მისხლამდის და ორ მისხლამდისაც გოგირდის ეთერი (ზეთია,—აფთიაქაში ჰყიდიან). ამეებს ერთად ფრთხილად მოურიონ და დასდგან სამ ან ოთხ საათს; მერე ამ წყალს რომ გადაასხმენ — თან ბევრი ნიკოტინი გაჰყვება. ამ ოსტატობით შეიძლება თამბაქოს მომწამლავი თვისება ცოტათი მაინც შეასუმბუქონ. ამის გამო თამბაქოს ქარხნებში თამბაქოს ასველებენ და ისე აკეთებინ: დასველებული თამბაქო ჰკარგავს ორ მესამედს (ორ წილს) ნიკოტინს.

# პროგრამმა

## „სასოფლო გაზეთისა“

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები.

**I ოფიციალური ნაწილი:**

მთავრობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი, რომელნიცა სასოფლო სამმართველოთა უნდა მოიყვანონ ასრულებაში.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა ეუწყოს სასოფლო სამმართველოთა, რომ ისინი გახდნენ იმათ ხელსამძღვანელათ.

**II. არა-ოფიციალური ნაწილი:**

1. **სამეურნეო ცნობანი:** ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა-და-სხვა სამეურნო ნაწილსა, მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის შენებას და სხვ.; სასოფლო ვაჭრობის, აღებ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. **სახალხო მედიცინა (მკურნალობა):** აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა და სხვა ავათმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უმკურნალოთ შეეძლოს ზოგიერთ ავთმყოფობის მორჩენა.

3. **ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე:** აქ დაიბეჭდება ამბები, თუ როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე; აგრეთვე კორრესპონდენციები, და მოთხრობა სოფლის ხალხის ცხოვრებიდგან.

4. **სხვა და სხვა ცნობა:** წვრილმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელსაც ექნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამაოდ-მორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. **სახაზინო და კერძოობითი განცხადება.**

სასოფლო გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ და შეიცავს ერთს სტამბის თაბახს.

ოფიციალური ნაწილი იქნება რუსულად და ქართულად.

ფასი ერთი წლისა გაუგზავნელათ 6 მან. გაგზავნით 7 მანეთი.

რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

Дозволено цензурою Тифлисъ, 19-го марта 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.